

## განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

**ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ**

**ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი**

საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 15 ივლისს მიიღო საქართველოს ორგანული კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“, რითაც დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2008 წლის 20 თებერვალს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პარლამენტის მიერ დამტკიცებამ დღის წესრიგში ავტომატურად დააყენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის აჭარის ახალ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა, მათ შორისაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, რომელიც საჭიროებს კორექტირებას.

**ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა

**ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი**

პროექტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მთელ ტექსტში სიტყვა „კომიტეტი“ იცვლება სიტყვით „კომისია“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად ასევე მცირდება უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობა და მათი არჩევის პროპორცია. კერძოდ, პროექტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 12 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 6 უმაღლესი საბჭოს წევრისაგან. ასევე მცირდება უმაღლესი საბჭოში ფრაქციის შესაქმნელად საჭირო წევრთა რაოდენობა და იგი ნაცვლად ხუთისა განისაზღვრება 3-ით. ცვლილებებია ასევე უმაღლესი საბჭოს სპიკერატში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ახალი მოწვევის უმაღლეს საბჭოში თავმჯდომარეს ეყოლება მხოლოდ ერთი მოადგილე. წარმოდგენილი პროექტით ასევე ხდება რეგლამენტის გარკვეული ნორმების, როგორც შინაარსობრივი, ასევე იურიდიული თავსაზრისით დახვეწა.

**ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

**ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.**

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება.

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული რეგლამენტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.

გ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.